ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3841493

ნომერი: AR1578610

თარიღი : 19.02.2018

გაცემის თარიღი : 26.02.2018

გაცნობის თარიღი : 26.02.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვი , N 10 ; ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვასილ თაყაიშვილი პ/ნ 01006009900
- მოსკოვის გამზირი 10

ორგანიზაცია:

- შპს" უნივერსალური სადისტრიბუციო კომპანია" კოდი: 201905488

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

-ვინაიდან, ამ ეტაპზე წერილობითი დასტურის გაცემა ხდება მხოლოდ სარეკლამო კონსტრუქციაზე (აღნიშნული მოთხოვნა ასევე უნდა დააფიქსიროთ მოთხოვნის ტექსტში) გაცნობებთ, რომ კონსტრუქციაზე სარეკლამო აბრების განთავსები საკითხი ყოველ ჯერზე უნდა შეათანხმოთ არქიტექტურის სამსახურთან.

-საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია:N 892018071296, მომზადების თარიღი: 29/01/2018) თანახმად, მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის მოიჯარეა შპს "აიდიეს ბორჯომი თბილისი" საჭიროა წარმოდგენილი იქნეს მოჯარის თანხმობა განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით, ან იჯარის ხელშეკრულება, თუ იგი ითვალისწინებს შესაბამის თანხმობას, ასევე, შესაძლებელია მოიჯარის უფლებამოსილი პირი დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად. იმ შემთვევაში, თუ საიჯარო ურთიერთობა შეწყვეტილია, წარმოდგენილი იქნეს განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი. გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.